

ახალციხე
2026 წელი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს წევრი პროპორციული სიით - 30.10.2025 წლიდან

თანამდებობის დასახელება - 2025 წლის 30 ოქტომბრიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" - ს წევრი, ასევე:

- ✓ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი

  ჩატარებული კომისიის სხდომების რაოდენობა: 5 დასწრება: 5

- ✓ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისის წევრი

  ჩატარებული კომისიის სხდომების რაოდენობა: 10 დასწრება: 9

- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" წევრი

  ჩატარებული საბჭოს სხდომების რაოდენობა: 1 დასწრება: 1

- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების კომისის წევრი, სხდომის რაოდენობა 1 დასწრება 1

წლიური ანგარიში

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში მოიცავს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს, ჩემთვის როგორც საკრებულოს თავმჯდომარისთვის, უმნიშვნელოვანესია საკრებულოს გამართული მუშობა, თითოეული საკითხის განხილვა კანონმდებლობის დაცვით და ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც საკრებულოს წევრებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წლიური ანგარიში არის კარგი შესაძლებლობა შევაჯამოთ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა და დავსახოთ სამომავლო გეგმები. ჩვენს თანამოქალაქეებს კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია იმ პროგრამებსა თუ პროექტებზე, რომელიც მათი ინტერესების შესაბამისად და მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ ხორციელდება.

წლევანდელი წელი ისევე, როგორც განვლილი პერიოდი გამოირჩეოდა მსხვილი ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, სარეკრეაციო, სოციალური და კულტურული პროექტებით. ამგვარი პროექტების განხორციელება შესაძლებლობას გვაძლევს წარმატებით დავძლიოთ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში და შევქმნათ მიმზიდველი გარემო ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებლისთვის.

ქალაქის ინტერესებზე მორგებული სწორი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია საკრებულოს თითოეული წევრის წვლილი.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. საკრებულომ ასევე განიხილა სოციალური დახმარების გაცემის წესი, პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა, სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების მხარდაჭერის მექანიზმები, მუნიციპალური ქონების მართვის საკითხები და ინფრასტრუქტურული პროექტები. რეგულარულად განიხილებოდა ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები.

2025 წელს ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' მიხედვით საკრებულოს წევრთა შემადგენლობა 33 დეპუტატით განისაზღვრა.

2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, საკრებულოში წარმოდგენილია ორი პოლიტიკური პარტია:

- ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ – 32 დეპუტატი
- ,,ძლიერი საქართველო-ლელო“ - 1 დეპუტატი

ამჟამად საკრებულოში 3 ფრაქციაა:

- ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“
- ,,ხალხის ძალა“
- ,,ევროპელი სოციალისტები“

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია:

- საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე ლევან მჭედლიშვილი)
- საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე კარლენ მანასიან)
- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია (თავმჯდომარე მალვინა ბურძენიძე)
- -საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ზოია ბალიაშვილი)
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის (კომისიის თავმჯდომარე კახაბერ გელაშვილი)

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს - 17 სხდომა, (მათ შორის 3 რიგგარეშე) განხილულია - 162 საკითხი, მიღებულ იქნა საკრებულოს:

- ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - **60 განკარგულება;**
- საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი - **69 დადგენილება.**

  - შეიქმნა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო. საბჭოს წევრების მეშვეობით, დაიწყო პროცესი და გავუწიეთ რეკომენდაცია მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ მანდილოსნებს, რათა პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარდეს, სკრინინგი და ადრეულ დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული შესაბამისი კვლევები.

მოკლედ მინდა გამოვყო ის ძირითადი საკითხები, რომელიც საკრებულომ განიხილა:

- საჯაროდ განხილულ იქნა და დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი;
- დამტკიცებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა, მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებაში ცვლილებები - კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი;
- დადგინდა ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
- დამტკიცდა და განისაზღვრა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი საფასური;
- კვარტალურად ხდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა- შეფასება
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა
- ჩემს მიერ ინიცირებულ იქნა „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ” დადგენილება
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესი
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესი
- დამტკიცდა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესი
- სისტემატიურად ხდება მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის აიპების ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ
- მოწონებულ იქნა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის რეგ.ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები, ასევე მაღალმთიან დასახლებებში განსახორციელებელი პროექტები და სტიქიის ფონდი და.შ)
- განხილული და მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტში, მათ შორის სოფლებში მდებარე, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის მინიჭების თაობაზე განკარგულებები;
- განხილულ და მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი
- წმინდა შალვა ახალციხელის მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ

მოქალაქეებთან შეხვედრები

მოსახლეობასთან შეხვედრებს სისტემატურად ვმართავ, როგორც სამუშაო ადგილზე — ადმინისტრაციულ შენობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, ისე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღნიშნული შეხვედრების მიზანია მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების გაცნობა, მათი მოსაზრებების მოსმენა, აქტუალური საკითხების განხილვა და ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფა.

შეხვედრების ფარგლებში ყურადღებით ვისმენ მოქალაქეთა მიერ დასმულ საკითხებს, ვეცნობი მათ მოთხოვნებს, საჭიროებებს და ვმუშაობ პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების განსაზღვრაზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის საკითხებზე რეაგირების მიზნით, ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის მერიასთან, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან.

მოქალაქეებთან შეხვედრებისას ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- **სოციალური საკითხები** — მოქალაქეთა სოციალური საჭიროებები და არსებული პრობლემები;

- **ინფრასტრუქტურული საკითხები** — მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და გაუმჯობესების საჭიროება;
- **მიუსაფარი ცხოველების პრობლემა** — აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისა და ცხოველთა თავშესაფრის მოწყობის საჭიროება;
- **მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უძრავი ქონების დამისამართება** — ქონების მისამართების განსაზღვრასა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

მოსახლეობასთან რეგულარული კომუნიკაცია ჩემი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია და ემსახურება მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებას, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მათი ჩართულობის ხელშეწყობას და არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფას.

გასვლით შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი გასვლით შეხვედრებში, სამუშაო ვიზიტებსა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებაში. ჩემი საქმიანობა მოიცავდა მოსახლეობასთან კომუნიკაციას, ინფრასტრუქტურული პროექტების გაცნობას, განათლების, ახალგაზრდობის, სპორტის, კულტურის, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებებით განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობას:

➢ მოსახლეობასთან ურთიერთობა და ადგილობრივი საჭიროებები

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები.
- ქალაქ ახალციხეში, ქალაქ ვალესა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გაცნობა.
- მოქალაქეებთან კომუნიკაცია და ადგილობრივი პრობლემების განხილვა.

➢ ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური განვითარება

- საგზაო ინფრასტრუქტურის, ხიდების, სკვერებისა და საცხოვრებელი კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოების გაცნობა.
- სპორტული კომპლექსების, საკალათბურთო დარბაზის, სამუსიკო სკოლის, კინოკლუბისა და მედიათეკის მშენებლობის მონახულება.
- მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

➢ განათლება, ახალგაზრდობა, სოციალური და ჯანდაცვის მხარდაჭერა

- საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაგა-ბაღებში ვიზიტები, პედაგოგებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრები.
- უნივერსიტეტსა და პროფესიულ კოლეჯში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა.
- ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის, საგანმანათლებლო პროექტებისა და ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერა.

- სამედიცინო დაწესებულებებსა და სარეაბილიტაციო ცენტრებში ვიზიტები, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობა.
- აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია სპეციალური პროგრამები დაფინანსების მხრივ, რომლითაც უკვე სარგებლობენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ბენეფიციარები.

➢ სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა

- სპორტული ინფრასტრუქტურის მონახულება და მიმდინარე პროექტების გაცნობა.
- საკალათბურთო, საფეხბურთო, კრივისა და საჭადრაკო ღონისძიებებზე დასწრება.
- წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებასა და სპორტის განვითარების საკითხებზე შეხვედრებში მონაწილეობა.

➢ კულტურა, ტურიზმი და ადგილობრივი ტრადიციები

- სახალხო დღესასწაულებში: „ახალციხელობა“, „აწყურობა“, „ვალეობა“, „კალოობა“ და სხვა ფესტივალებში მონაწილეობა.
- თეატრალურ წარმოდგენებზე, კონცერტებზე, გამოფენებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება.
- ტურისტული სეზონის გახსნისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ღონისძიებებში მონაწილეობა.

➢ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა და საზოგადოებრივი ღონისძიებები

- ცენტრალური ხელისუფლების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრები.
- სოციალურ-ეკონომიკური საკითხების, მუნიციპალური პროგრამებისა და სამომავლო გეგმების განხილვა.
- ეროვნული თარიღების, ისტორიული მოვლენებისა და რელიგიური დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა.
- საერთაშორისო პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან შეხვედრები.

- ✓ ჩემთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა, ღია მმართველობა და გამჭვირვალეობა. ჩემთვის პრიორიტეტულია საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს სხდომები სისტემატიურად ქვეყნდება სოციალურ ქსელში, ხოლო მიღებული სამართლებრივი აქტები მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.
- ✓ საკრებულო კოლეგიალური ორგანოა. მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, შევეცადე ყველა გადაწყვეტილება მიმეღო საკრებულოს წევრთათვის პროექტების დროულად გაცნობის, კონსულტაციებისა და აზრის თავისუფალი გამოხატვის გზით.
- ✓ ჩემთვის, თითოეული კოლეგის აზრი მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით და მოსახლეობის ინტერესებზე დაყრდნობით.

შევსების თარიღი 22.10.2026

წარდგენის თარიღი 30.10.2026.

ხელმოწერა ----------